

572 / 964/2

ՀԱՅԿԵՍՏԱՆԻ  
ՅԵՆՈՒՄՈՒՄԱՅԻՆ



1 9 6 4 Յ Ծ 3 Ո Ն Փ Թ



N 8

# აუზი

ნახატები ზ. გელოვანისა

ლილია პრაძე

— უჰ, რა ცხელია!—ამბობენ ბავშვები და პატარა სარწყავებით ლამის აატალახონ ეზო, მაგრამ მაინც სცხელიათ. ხახხადამწრალი გამოიყურება ეზოს ერთ კუთხეში წყალს დანატრულებული აუზი. ვინ იცის, რამდენი ხანია წყალი აღარ მიჰკარებია.

— ახლა ჩამოდი, თორემ მერე გვიან იქნება!—ეუბნება დათო. ლევანი უარის ნიშნად თავს აქნევს. შუადღისას, როგორც იქნა აუზი აივსო. დაიღალდნენ ბავშვები. ამ დროს ჯვრე ერთს დაუძახა დედამ,—მოდი ისაღილეო! მერე—მეორეს, მესამეს.



— მოდი, ბავშვებო, აუზი წყლით ავავსოთ და შიგ ვიჭყუმბალაოთ!—ამბობს კახა.

— ავავსოთ, ავავსოთ!—ყვირიან დანარჩენებიც და ონკანთან მჭკრივდებიან. ზოგს სარწყავით მიაქვს წყალი, ზოგს პატარა ვედროთი, ზაზა და ნუგზარი ფინჯნებითაც კი ეზიდებიან წყალს და ასხამენ აუზში.

აუზს ვეშაბივით დაუღია პირი და ავსებას სულაც არ აპირებს.

ლევანი შუშბანდის ღია ფანჯრიდან იყურება და ნაყინს შეეჭკვევა.

— გამოდი, ლევან, შინ რას უზიხარ? გამოდი, მოგვეხმარე!—ეძახის ნუკრი.

— ჩამოდი რა, ბიჭო, შენც რომ აქ იყო უფრო მალე არ ავავსებთ აუზს?!—ეხვეწება მალხაზი.

— არა, ვერ ჩამოვალ, ეზოში ცხელია!—ამბობს ლევანი და გამოსაჯვარებლად ნაყინს ატრიალებს ხელში.



— მოდი, ახლა ყველანი შინ წავიდეთ და ვისაღილოთ. ამასობაში წყალიც

ცოტა შეთბება მზეზე, — თქვეს ბავშვებმა და წავიდნენ წამოვიდნენ.

ლევანს მოსწყინდა შინ ჯდომა და ეზოში ჩავიდა. იქ აღარავინ დაუხვდა. გაუყვარდა, ნეტავ სად წავიდნენო. ნახა, აუზი უკვე სავესე იყო. შიგ ჩასვლა მოინდომა, მაგრამ წყალი ცივი ეჩვენა

„მოდი, ამ წყალს გაფუშვებ, შინიდან თბილ წყალს გამოვიტან და იმით ავაყსებ აუზს. თბილ წყალში ჩასვლა უფრო სასიამოვნო იქნებაო“ — იფიქრა ლევანმა და ასეც მოიქცა.

გამოვიდნენ ბავშვები და აუზი ცარიელი რომ დახვდათ, კინაღამ იტირებს.

— ეს ვინ ჩაიღინა? — ჰკითხეს ლევანს, რომელსაც პატარა ჩაიღინით წყალი მიჰქონდა აუზისაკენ.

— არავინ.

— როგორ თუ არავინ? შენ არ დაგინახავს? — გაჯავრებული ბიჭები მისცვივდნენ ლევანს.

— დამინახავს... — თქვა დარცხვენით ლევანმა. — არღან მიხვდა, რომ დიდი დანაშაული ჩაიღინა. მაგრამ ეგონა, ჩემს მოფიქრებულს რომ ვეტყვი ბავშვებს, გაეხარდებათო.



— წყალი მე თვითონ გაფუშვი. აბა, იმ ცივ წყალში ვინ ჩავიღინა! აი, ნახეთ, რა თბილი წყალი მომაქვს.


— ჰე, შე სულელიო, მაგისთანა ჩაიღინებით როლის ავისება აუზი! ვერ ხედავდი, რამდენ ხანს ვიწვალეთ!

— ქურაზე გამთბარ წყალში ბანაობა ამ პაპანაქებაში ვის გაუგონია! — სიცილი დაეყარეს ბავშვებმა.

შერცხვა ლევანს. რა ექნა, აღარ იცოდა.

ისევ დატრიალდნენ ბიჭები. ზახა და ნუგზარი, ნუკრი და კახა, ბადრი და მალხაზი, ისევ დარბოდნენ ონკანსა და აუზს შუა. მაგრამ ლევანი უნდა გენახათ! — ყველაზე სწრაფად ის ავისებდა თავის ჩაიღინას და ხალისიანად აპირქვევებდა აუზში.

9368





# ბაღი.

სიმონ შაჰრიანი

მამა უყვარს,  
ყველაფერში  
მამას ბაძავს ბაღი;  
ბაღის მამა მთავლელია,  
მწვერვალებზე დადის.

აი, დღესაც, ბაღის მამა  
იპყრობს უშუბას ამაცხს.  
ბაღიც, აბა, რა ზიჯია,  
თუ ჩამორჩა მამას.

მარტოღმარტოღ,  
სულ პირდაპირ  
ფრიალოზე ცოცვით  
სძლია ბაღიმ სოფლის თავთან  
აღმართული ზორცვი.

ვაშა, ბაღის! მისდევს კვალში  
თავის მამაც მამას,  
გაიზრდება,—უშუბა რაა,  
მთვარეზედაც ავა!

ნახატი ზ. კაკანაძისა

# ქარი და სიყვარული

საქართველოს  
საბავშვო ჟურნალი

მეორე სანალიკაში

ნახატი ზ. ქავანაძისა

წინათ, ძალიან დიდი ხნის წინათ, ჩვენს დაბაში ერთი მოხუცი მეთევზე ცხოვრობდა. დიდიან სალამომდე თევზაობდა. მაგრამ არ იქნა და არ გაუღიმა ბეღმა, ბევრი თევზი ვერ დაიჭირა. იცოდა, ბევრი თევზი ზღვის შუაგულში იყო, მაგრამ ვიდრე იქამდე მიალწევდა, შეზინდებოდა კიდევ.

და აი, ერთ დღეს, მეთევზემ უთხრა ქარს:

— ქარო, ძლიერო და მოუსვენარო, გვეყოფა ტყუილბურაღად გზებზე ხეტიადი, მოდი, საქმეში გამომადექი!

— სიამოვნებით!—უპასუხა ქარმა,—რაში მოგვხმარო!

— ახლავე მოგახსენებ,—უთხრა მეთევზემ. შინიდან ანძა გამოიტანა და ნავში გამართა. მერე გამართულ ანძაზე თეთრი ზეწარი გაჭიმა.

დაუბერა ქარმა, აავსო აფრა ქარით, ხოლო აფრამ ნავი ზღვის შუაგულისაკენ გააქანა. გაფრანდა ნაპირზე შეკრებილ ხალხს, რომელიც ამ ამბავს უყურებდა. »რა კარგი ყოფილა აფრა, ადამიანის ნამდვილი დამხმარეო!«—ამბობდნენ ისინი.

— გესმის, რას დაპარაკობენ შენზე?—გადაუწურა ქარმა აფრას.

— მესმის!—უპასუხა აფრამ, კიდევ უფრო გაიბღინდა და ქარს ამაყად გადახედა.

— ქარო, რას მომდევ ფხნდაფხნ, ხომ ხედავ, რა ღამაში და რა კარგი ვარ... ხედავ როგორ მივაქარაღებ ნავს... მე უძღვევდი ვარ...

ქარს ეწყინა. ერთი პირობა იფიქრა, მოდი, ისე დაეუბერავ, შუაზე გავხდევ და წყალში ვაბანაგებო. მაგრამ თავი შეიკავა. მხოლოდ გაინაბა, ქარდა შესწყვიტა. აფრა გაიწია, მოიკრუნჩხა და საცოდავად ჩამოექიდა დაქითულ თოკზე.

— ეს რა მიყავი, აფრავ,—გაოცდა მეთევზემ,—როგორ დამალაღატანე.


— რატომ აღარ იბღინებდი, მკვებარავ,—ჭკითხა ქარმა,—სადაა შენი ძლიერება! ამი-



ერიდან გეცოდინება, რა მოხდევს ყოყორბას!

აფრას ენიშნა ქარის ნათქვამი და შერცხვა. აღბათ, მეთევზე კიდევ ჩამოხსნიდა, როგორც გამოუსადეგარს, მაგრამ მხიარულმა ქარმა ისევ დაუბერა. ქარმა სული ჩაუღდა აფრას, ფეხზე წამოაყენა.

მას შემდეგ ქარი და აფრა კეთილად ემსახურებიან ადამიანს.



# ბიჭი & ბურთი

პლიმარ ყიფინანი

ნახატები ზ. ჭუმბურიძისა

ვინ იცის, უკვე რამდენი ხანია, რაც ნაზბეწვიან პრანკია ფისოს, ლამაზობით საოცარი ხმები ესმის. დღემდე ვერავინ მიმხვდარა, რომელ ცხოველს ეკუთვნის ეს ხმა, დღემდე ყველა გაოცებული და განცვიფრებულია. თუ ჰკითხვით, ფისოს, დაფიქრდება, ცალ ყურს ასწევს, დასწევს და შემკრთალი კნავილით ჩაგჩურჩულებთ, რომ შუალამისხა, როცა სახლის პატრონები ღრმად ძილს მიეცემიან, ოთახის კუთხეში კარადის ქვეშ, ვიღაც დაიკვნენებს ხოლმე.

ჰოდა, დღეს ფისომ, როგორც იქნა, გაბედა და გადასწყვიტა, გაეგო, ვინ ოხრავდა და კვნესოდა.

ფისო იატაკზე გაწვა, გაიღურსა და კუდის ქნევით უზმუროდ შეიცოცდა კარადის ქვეშ.

უეცრად კვნესა მოესმა. ფისო შეკრთა, თვალები ქარვის ბურთებივით დაუმრგვალდა, დაკვება და ბნელ კუთხეში დაინახა დამსტვრილი კანაქერცილი, ლაყებჩავარდნილი რეზინის ფერადი ბურთი, რომელიც ლურჯად და წითლად იყო შეღებილი. ამ საწყალი, დაჩაჩანაკებული ბურთის გარდა, აქ არავინ იყო.

„ნუთუ, ეს ბურთი კვნესის?“ — გაიოცა გულში ფისომ და თავისი ეჭვი რომ შემოაწმენინა, რიხიანად იკითხა:

— ვინ არის აქ, ყოველ ღამე რომ კვნესის და ძილს გვიფრთხობს?


და უეცრად, მოისმა სუსტი, აკანკალებული ხმა:

— რა გინდა ჩემგან, ფისო, რას მემართლები?

მოულოდნელობისაგან ფისო ადგილზე შეხტა, აიფხორა, შიშისაგან ბეწვი აებურძგნა და სასწრაფოდ უკან დაიხია.

— ეს... ეს... შენა ხარ?

— მე ვარ, — ამოიოხრა ბურთმა, — მაგრამ ჩემს ყოფნას განაყოფნა ჰქვია?



— რა დავემართა? — ჰკითხა ფისომ.  
 — ეჰ, ჩემო ფისუნია, ჩემი გაქირვება რომ გაგანდო, შეგეცოდებო!  
 — რა მოხდა ასეთი, დაჩუტული ხარ?  
 — დაჩუტვა რა სათქმელია, ეგ ხომ ყველა კარგი ბურთის ხვედრია ბოლოს!  
 — მაშ?  
 — ჩემო ფისუნია, მე ის ბურთი ვარ, რომელსაც ბიჭი დაეკარგა!  
 — შენ დაეკარგა ბიჭი? — წამოიძახა გაქირვებულმა ფისომ.  
 — ჰო, დავკარგე ჩემი ბიჭი, ჩემი საყვარელი პატრონი! — თვალზე ცრემლი მოერია ბურთს.

— მე გამიგია, რომ ბიჭები თვითონ კარგავენ ბურთს! — უთხრა ფისომ.  
 — მართლს ბრძანებ, ფისუნია, მეც ხშირად დავუკარგავარ ჩემს ბიჭს, მთელ ეზოს გადაატრიალებდა და მაინც მიპოვიდა ხოლმე. ახლა კი თვითონ დავკარგე ბიჭი...

— გთხოვ, დაწვრილებით მიახშო ყველაფერი, გულსაც გადააყოლებ!

— ეს მოხდა გაზაფხულის ერთ მზიან დღეს, — დაიწყო ბურთმა, — მე მალაზიის ვიტრინაში ვიყავი გამოფენილი და გამვლელ-გამომვლელს თვალს ვტაცებდი. წითელ-ლურჯად მიღვივოდა პრიალა ლოკები. ის ის იყო უნდა დაეკეტათ მალაზია, რომ უეცრად გამჟღავნებდა ხელი გაღმოჰყო ვიტრინაში, ამიღო და ერთ გამხდარ ბიჭუნას მკლავებში მომაქცია. ბიჭუნას წინდის ჩხირებივით წვრილი ფეხები ჰქონდა, კინაღამ გამეცინა, ამან რა უნდა მათამაზოს-მეთქი.

აკისკისდა ბიჭუნა, იქაურობას გადაედო მისი სიხარული, ქუჩაში გამიგანა და ამხატუნა-დამხატუნა. ჩემს ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა; ეს იყო ჩემი პირველი ხტუნვა.


ასე დაიწყო ჩვენი მეგობრობა. ბიჭუნას ძალიან ვუყვარდი, მე კი თავდაპირველად ვეჯიუტებოდი; არ ვუჯერებდი, ბოლოს დამიმორჩილა, თავი შემავყარა. მეც თავდავიწყებით შემიყვარდა ჩემი პატრონი. ჩემი წყალობით ბიჭს წვივები დაუმსხვლდა, სწრაფი სირბილი ისწავლა, დაცემისას აღარ ტიროდა. მახანებდა ეს ამბავი.

ბურთს უეცრად ხმა ჩაუწყდა, ცრემლები ახრჩობდა საწყალს. ფისოს გული აუჩვილა მისმა საცოდამომამ.

— კარგი, ახლა დამშვიდდი, — უთხრა ბურთს, — თქვი, როგორ დაკარგე ბიჭი, იქნებ რამე ვიღონოთ!

— იმ დღეს... ჩემი უკანასკნელი ხტუნვის დღეს, — განაგრძო ფერადმა ბურთმა, — დაღამებამდე ვთამაშობდით ეზოში. მეზობელ სახლის ბიჭებს ეჯიბრებოდნენ ჩვენები. გამამწყვეტი მატჩი იყო, რადგან მეორე დღეს ბავშვები სოფლებში მიდიოდნენ არდადეგების გასატარებლად. მე უკვე არაქათი აღარ მქონდა, დილიდან დავხტოდი და დავტროდი ეზოს ერთი ბოლოდან მეორეში და სული ძლივსხდა მედგა. თანაც ჯიბრზე, მიწიდან თავამოყოფილ ერთიადიამვე წვეტიან ქვას ვეხეთქებოდი წამდაუწყობ. ბოლოს სულ გაიცრია ჩემი კანი და ოდნე დავიჩუტე კიდევ. მატჩი დასასრულს უახლოვდებოდა, სწორედ ამ დროს გამიტაცა ჩემმა საყვარელ-

(გაგრძელება 12-13 გვერდზე)





ვევენი ვერძოლაი ნახატები ი. ქაბაქაძისი ზღაპარი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი კირ-კიტა ბიჭი. ამ ქვეყნად ყველაფრის გაგება უნდოდა.

ერთხელ კირკიტა ბიჭმა ელექტრონის ნათურას თვალი ვერ მოაშორა.

— მითხარი, კარგო ნათურა, როგორ ანთიხარ? რითი კაშკაშებ?—ჰკითხა ბიჭმა.

— როგორ და მზე მძღღევს სინათლეს,—მიუგო ღიმილით ნათურამ.

— ეგ როგორ შეიძლება მე ვიცი, რომ ქუჩაში დაყრილ შუშის ნატყეებს მზე ანათებს და ახურებს. მთვარეც მზისგან არის განათებული, მზის საშუალებით ანათებს ხოლმე ღამით. მე ხომ უკვე პიონერი ვარ,—ამბობდა ბიჭი,—ძალიან ბევრი რამე ვისწავლე სკოლაში. შენ კი ნათურავ, ჩემი მოტყუება გინდა?

— როგორ მოგატყუებ, როცა ასეთი ნათელი და კაშკაშა ელნათურა ვარ.— მიუგო ნათურამ,—თუ მართლა პიონერი ხარ და თანაც კირკიტა ბიჭი, ადგეი და შენ თვითონ გაიგე, რითი ვანთივარ და ვინ მძღღევს სინათლეს.—თქვა ნათურამ, ბიჭის უნდობლობა იწყინა და ჩაქრა.

ჩაფიქრდა ბიჭი. ბევრი იფიქრა, იფიქრა და გზას გაუღდა. გადასწყვიტა, მისი სახლიდან ელექტროგაყვანილობას მიჰყოლოდა, აბა ერთი, სად მიმოყვანსო!

ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, ბიჭი ელექტროსადგურს მიაღდა. შევიდა შიგ და რას ხედავს!—უზარმაზარი ელექტრომანქანა დგას და ელვისებურად ტრიალებს. თან ისე გუგუნებს, რომ ყურთასმენა აღარ არის.

— გამარჯობათ, ელექტრომანქანა!— მიესალმა ბიჭი,—ეს თქვენა ხართ, ელნათურებს რომ სინათლეს აწვდით?

მეც ამ საქმეში ვურევივარ,—მიუგო მანქანამ,—მაგრამ ასე ვერ ვიბრუნებდი, რომ წყლის ტურბინი არ მგხმარებოდეს.

ბიჭი ახლა წყლის ტურბინთან მივიდა. პიონერული საღამო მისცა და მერე იგივე ჰკითხა.

— მარტო მეც ვერას გავხდებოდი, წყალი რომ არ მშველოდეს,—მიუგო ტურბინმა.

ბიჭი ამითაც კმაყოფილი დარჩებოდა, რომ ასეთი კირკიტა არ ყოფილიყო. მაგრამ უნდოდა, ყველაფერი ძირისძირიდანვე გაეგო და ამიტომ ახლა წყალს მიაშურა. საგუბართან მივიდა:

— მაშ, ეს თქვენა ხართ წყლის საგუბარო, ელექტროსინათლეს რომ გვაძლევთ?

წყალი აღელდა, ტალღები ააგორა და მიუგო:

— მე მხოლოდ ტურბინს ვაწვდი წყალს. წყალს კი მდინარე მძღღევს.

ბიჭი ახლა მდინარესთან გაიქცა და რისი ვაგებაც უნდოდა, ჰკითხა.

— წყალს პატარ-პატარა მდინარეებისა და ნაკადულებისაგან ვიღებ,—მიუგო მდინარემ,—ისინი კი წვიმით ივსებიან. ღრუბლები გეტყვიან, როგორ ივსებიან წვიმით.

ჩაფიქრდა კირკიტა ბიჭი და ღრუბლებს ისაკენ გაემართა.

ღრუბლები მაღალ მთებზე ათევენ ღამეს. არც თუ ისე ადვილია იქ ასვლა,



მაგრამ მეტი რა გზაა, ცოდნის შეძენა  
ყველაფერზე ძვირფასია! აი, ბიჭმა მთის  
მწვერვალებს მიიღწია და ღრუბლებს  
თავაზიანად ჰკითხა:

— დიდად პატივცემულო წვიმის  
ღრუბლებო, მითხარით, გეთაყვა, წვიმას  
სად შოულობთ, ვინ გაძლევთ?

— ვინა და მზე!— მიუგეს ღრუბლებმა.  
გაოცდა კირკიტა ბიჭი, შერცხვა  
ეკითხა, წვიმას როგორ მოგცემთ მხურ-  
ვალე მზეო.

მაგრამ ღრუბლებმა შემდეგ კითხვას  
როდი დაუცადეს, თვითონვე ალაპარაკ-  
დნენ:





— ზღვებიდან, ოკეანეებიდან თავისი  
მწველი სხივებით აორთქლებს მზე წყალს  
და ღრუბლებში ინახავს... ღრუბლები  
მილი-მოდინ და წვიმად იღვრებიან. წვი-  
მით ივსებიან წყაროები და მდინარეები...  
ყოველივე გაიგო ბიჭმა და როცა შინ  
დაბრუნდა, ელნათურას უთხრა:

— საყვარელო ნათურავ, მაპატიე, ახ-  
ლა უკვე ვიცი რითი და როგორ ანთი-  
ხარ.

ნათურა ისევ გაბრწყინდა. ამ დროს  
წხემატ შემოიჭერიტა ფანჯარაში:

— კარგია, რომ გაიგე რითი ანთია  
ნათურა. ყოველთვის ასეთი კირკიტა  
იყავი, პიონერო, და ყველაფერი საფუძ-  
ვლიანად გეცოდინება!

თარგმნა მარია გვიმრაძემ



# წიგნის სახელი

მედიკალიზაცია

სახელი 1. მელნიკოვი

ლომეზე შემდგომ გიანს დიდი ბურთი იღლიაში მიოქარა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გაბევირდა:  
 — ნუგზარ, ჰეი, ნუგზარ!  
 ხანდას კარი გაიღო და აივანზე ნუგზარი გადმოდგა.  
 — ხამო, ვიბურთოთ!  
 — არ მცაღია!  
 — დღეს ხომ კვირია. ხამო, რა? —  
 შეესვენა გია.  
 — მერე რა რომ კვირია, განა შენ-საფით სხაბეჭო ბაღში დღედივარ!  
 — აბას ხომ უკურნებ, — ნუგზარმა მკრდი წინ წამოსწია. გიამ თვალები დააჯიქა, კარგად დააკვირდა: ნუგზარს

ღამისი წითელი ვარსკვლავი ჰყვია!  
 — უბ, რა კარგია! — ყურ დღივარ აღტაცება ბიჭმა. — მინუქე, რა!  
 — რას ამბობ! წუქება როგორ შეიმღება, აი, როცა წემსული გახდები და კარგად მოიქცევა, მამინ პუნჯ მიიღებ!  
 — ჰერე, როგორ უნდა მოიქცევა კარგად?  
 — როგორ და ბეჯითად უნდა ისწავლო, უფროსებს უნდა მიესმარო, შენზე პატარებს არ აწვეინხო...  
 — თუ კი პატარებს არ უნდა აწვეინხო, მეც ხომ პატარა ვარ, რატომ ბურთს არ შეივამები? — მოუჭრა სიტყვა გიამ და ღონიდან იხსუბა.



## კუთხაფიები

პალმონა მანაშა

კაკა-კუცი!  
 დაგა-დუგი!  
 მალა სკიპი,  
 დაბლა რიკი.  
 ვერცხლის ნაღებს  
 იჭეებენ, —  
 ბაღებში  
 დაგა რიკი:  
 დაიჭედა სათითოდ  
 უფვადივი კუტკალია.  
 „ველარავინ დაგვიკერსო,“ —  
 დაბტიან და უხარიათ.

სახელიდან მარგინა მანაშა მანაშა



სახელი მანაშა

— ჰეი, ჰეი! ვარსკვლავი.  
 ზაქარია ბაჭია,  
 ბოსტანში კვლავს ეს ვიხი  
 ნაკვალევი ანია?  
 — ალბათ იმ წუწამ შეღიას  
 სარხი შემოვლია!  
 — შენისთანა ბარწუწის  
 დაჯერება მწელია,  
 როდის იყო სტაჟიდოს  
 მიინომეღა შეღია!





# ბიჭუნის სახელი

(გაგრძელება)

მა ბიჭმა, ყველა მოატყუა, მეკარესთან პირისპირ გაიჭრა და მოხდენილად დამარტყა. მაგრამ იმის მაგივრად, რომ ტყვიასავით გავფრენილიყავი, მიწაზე ძლივს წავფხოკიადლი და მოწინააღმდეგის მეკარემ ადვილად ჩამიგდო ხელში. „ფუჰ ღაჩუტულაო“, ხელი ჩაიქნია ჩემმა ბიჭმა, მოძულებულივით ამიღო და თავის აივანზე ამისროლა. სირცხვილისაგან აღარ ვიცოდი სად დავმალულიყავი. იმდენი ვიტირე, გული წამივიდა და გონება დავკარგე... როცა გონს მოვედი, აქ აღმოვჩნდი, ამ კარადის ქვეშ, სადაც ახლა მხედავ... მას შემდეგ ჩემი ბიჭი თვალით აღარ მინახავს!

— ერთხელაც არ მოსულა?—წამოიკანკლა ფისომ.

— არა, უკვე მესამე წელი სრულდება! — რა ერქვა?

— თენგოს ეძახდნენ... აი, ნახე, მგონი ზედ დამაწერა თავისი სახელი.

ფისომ კითხვა არ იცოდა, მაგრამ უხერხულ მდგომარეობაში რომ არ ჩავარდნილიყყო, ბურთის სასწრაფოდ დაუდასტურა:

— ჰო, აწერია,—და ვითომ დამარცვლით წაიკითხა: „თენ-გო“, თუმცა თვით პართული ენის მასწავლებელიც ვერაფერს ამოიკითხავდა ბურთზე, რადგან დროთა განმავლობაში ყველა ასო გაცრეცილიყო და წამიღილიყო.

— კეთილო ფისუნია,—მიმართა ბურთმა,—შენ ხომ არ იცნობდი თენგოს?

— არა, მე მხოლოდ სამი თვეა, რაც დავიბადე!—უპასუხა ფისომ და უეცრად მოაგონდა, რომ ამ სახელისათვის სადღაც მოეკრა უური. მაგრამ ვერაფრით ვერ გაიხსენა.

— პარგო ფისუნია,—განაგვიძო ბურთმა,—ამ ჯურღმულში მე ვერაფერს ვხედავ და ვერაფერს ვისმენ. იქნებ სადმე აქვდა ჩემი ბიჭი? გაისარჯე და გამეგორე შუა ოთახში.

—ახლა ყველას სძინავს,—თქვა ფისომ და დაამთქნარა,—მეც მეძინება. ხვალ, როცა ბავშვები გამოვლენ სათამაშოდ, ეზოში ჩაგაგორებ, იქნებ მართლაც ვიპოვოთ შენი ბიჭი.

მეორე დღეს, როცა ფისუნამ დერეფნის კარი ღია მოიხელთა, ბურთი ოთახიდან გამოაგორა და კიბეებზე გადაუშვა. თამაშთამაშით ფისომ ბურთი შუა ეზოში გამოიტანა.

ეზოში პატარები დაქერობანას თამაშობდნენ, მოზრდილები—ფეხბურთს და უეცრად რეზინის ბურთმა თვალი მოჰკრა ნაცნობ ფეხებს, სიხარულისაგან გული გადაუტრიალდა. მერე მალლა აიხედა და დარწმუნდა, ნამდვილად ის იყო, თენგო იყო. მაგრამ როგორ გაზრდილა, როგორ გაფართოებია ბეჭები, დამსხვილებია კუნთები. ახლა ნამდვილი ბუცები აცვია, რეზინის სამუხლეები უქეთია და... ნამდვილი ბურთით თა-

მაშობს, მძიმე, ყავისფერი ტყავის ბურთით. ახლა, ალბათ, ეს ბურთი უყვარს, როგორც რეზინის ბურთი უყვარდა წინათ. ეჰ, გულდასაწყვეტია, მაგრამ ხომ ნახა თავისი ბიჭი, ჯანმრთელი, გაზრდილი და ვალამაზებული.

ამ ფიქრებში იყო რეზინის ფერადი ბურთი, რომ უყვარდა თენვამ ტყავის ბურთი გამოიტაცა და ისარივით მისკენ გამოქანდა, სწრაფად ახლოვდებოდა ბიჭი და რეზინის ბურთსაც თანდათან ემატებოდა გულისძგერა; აი, სადაცაა დაინახავს თენვო, იცნობს და გულში ჩაიკრავს.

მაგრამ თენვო თავის ახალ ბურთს მოაგორებდა და მალლა არ იხედებოდა. უეცრად ბიჭი რეზინის ფერად ბურთს წამოედო და ფეხები აებლანდა, ტყავის ბურთი კი მოწინააღმდეგე გუნდის მცველმა ჩაიგდო. თენვო გაწითლდა, გაბრაზდა:

— ვისია ეს ძველი ბურთი!—წამოიყვირა, გამოქანდა და, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, მარჯვენა ფეხი ამოარტყა რეზინის ფერად ჭურთხს.

ასეთი საშინელი დარტყმა არასოდეს უგემინია რეზინის ბურთს. „ვერ მიცნო,—ფიქრობდა რეზინის ბურთი და ჰაერში მიფრინავდა,—ვერ მიცნო, მაგრამ, ხედავ, როგორ

ვალონიერებულა! ასე მალლა ჯერ არასოდეს ავფრენილვარ ჰაერში“.

რეზინის ბურთი იმ მოედანზე დავარდა, სადაც პატარა ბიჭუნები დაქერობანას თამაშობდნენ. ბავშვები მაშინვე გარს შემოიხვივნენ უცნობ ბურთს.

— თენვამ ვადმოაგდო,—თქვა ერთმა ბიჭუნამ.

— თენვო!—დაუძახა მეორემ, რომელსაც წინდის ჩაბრუნებით წვრილი ფეხები ჰქონდა,—ვისია ეს ბურთი?

— არ ვიცი ვისია,—გამოსძახა თენვამ.—თუ გინდა შენი იყოს!

— „ვერ მიცნო... ვერ მიცნო...“—ეს ორი სიტყვა თავიდან არ შორდებოდა რეზინის ბურთს, მაგრამ არა უშავს... ახლა ამ პატარა ბიჭუნას ვავალონიერებ, სირბილს ვასწავლი, ფეხებს დავუშსხვილებ... და დღეში ერთხელ მაინც მოვკრავ თვალს ჩემს თენვოს. ვინ იცის, იქნებ ერთ მშვენიერ დღეს მიცნოს!—ფიქრობდა რეზინის ფერადი ბურთი და პატარა ბიჭუნას სუსტ ფეხებს ეალერსებოდა.





ვლადიმერ ალფინძე

## სავარცხელი

დიდაზე რომ დაივარცხნოს ფრთა, ბუმბული ჰქრედი. ნახე, ოფოფს ამოსვლია თავზე სავარცხელი.

## ზღვა

კენჭებს ესერის ზღვის ტალღებს ერთი ციკქნა გია.  
— ზღვაო, შენ ხომ ღურჯი ხარ, შავი რატომ გქვია?!

## კუ

პატარა და დიდი კუ სასეირნოდ მიდიან. მერე რა, რომ წვიმია, სახლი ზურგზე ჰკიდიათ.



ნახატები ვ. მელიქიძევილია



ნაზანი ბაკთაია


## ბუმბუტი

ბუმბუტი ისე გაგებერე დაგამგვანე ბურთს. გაგებერე და გაგებერე და გაგარდა: ბუჰ!!



## მაჭარკი

გააყრუა მარანი:  
— ბუყ, ბუყ, ბუყ!  
დღეს მთელი დღე ბუყბუყებს,  
დღეს მთელი დღე დულს.



# ლეღუს ენქელუ დ ე ე ლ ე

ნიქო კახიკაძე

გაუზაფხულის პირველი დღეები დადგა. მარტის მზე ხან გამოაჩნათებდა, ხან კი იხევ ლეგა ღრუბლებს მიეფარებოდა.

პატარა ლეღას გული საგულეს აღარ უღვებოდა, საუზმე არც კი მოათავა, გამოვარდა კარში და ასინკილას ზღუნვით ტყისპირისაკენ გახწია.

სველ მიწას ორთქლი ასდიოდა, მიწიდან თავი ამოეფეთ ხასხასა მწვანე ბალახის პირველ ფოთლებს. თოვლი სულ რამდენიმე დღის აღებული ჩანდა. ხეს კვირტები დაპხებოდა, ერთ გადმოშვებრილ ტოტზე პაწაწინა, ფრთაწითელი ნარჩიტა იჯდა და თვალმუცხუტული რაღაცას ელურტულებდა...

ლეღა უტბად შედგა, დიდრონი თვალებით მიწას დააკვირდა, ნელნელა ჩაცუცქდა და უფრო დააკვირდა. მის წინ ენძელა იყო, ლამაზი, მორცხვი, პირისფერი ენძელა. ენძელას გვერდით კი პაწაწინა ჩიტისთავას ყვავილი ოკროს ვარსკვლავით - ბრწყინავდა.

— მაიკო, ნიკა, მამუკა, — შემკივლა, — მოდიო, წამოდითი! — და სახლისკენ მოკურცხლა. — ჩქარა, ენძელა! — მაგრამ სახლში მამუკა ჯერ საფუძვლიანად უჯდა თავის საუზმეს და ამ დროს ეგრე ადვილად ვერ დახსრავდი. არც სხვებს დაემთავრებინათ საუზმობა.

— ენძელა აუვაკებულა, კიდევ რაღაც, აბა, ჩქარა! — შესძახა დაძმა.

დედამ ყური არ აიხოვა ლეღას, დაუთავრებელ საუზმეს მოუსვა. ამაოზაშუ მარტის მზე ისევ ტყვიისფერმა ღრუბელმა ადფარა. წვიმის ცივი, იშვიათი წვეთებიც გადმოიღვარა. ცხადია, დედა აღარ გაუშვებდა არც ერთს!

კარგა ხნის შემდეგ, როდესაც უინფლელა შეწყდა, ლეღამ წაინც წაიყვანა დაძმა პირველ ენძელითსაკენ, მაგრამ აი საკვირველბავ, აღარც ენძელა დახვებდა და აღარც ჩიტისთავა.

— აი, აქ იყვნენ, — ეძებს ლეღა და ვერ პოულობს, მხოლოდ მწვანე ბალახსა ხედავს — აი, აქ...

მაიკოსა და ნიკას კი ჩუმ-ჩუმად ეციინებათ, მათ იციან სადაც არის ენძელაც და ჩიტისთავაც.

— აი, შენი ენძელა, — ვერ მოითმინა ბოლოს მაიკომ და მიუთითა ყვავილმუცხურულ ენძელაზე, რომელსაც მწვანე ფერი დაპყრავდა, — აი, ჩიტისთავაც! ისიც ხომ გარედან სულ მწვანე იყო, რადგან მისი ყვავილის ფურცელი გარედან მწვანეა. ლეღა თვალმუცხუტული ჩასკვირდა ამ ფერისცვალებას. ჩაცუცქდა და საყვედურით ჩასძახა:


— რად დამემალეთ, თქვე ეშმაკებო, რად?!

„ხომ ხედავ, აცივდა, მზეც ღრუბლებში დაიმაღლა, ცივი წვიმაც წამოვიდა. გაშლილი რომ ავდარს შეგხვდეთ, დავიღვებოთ, ამიტომ ჩვენ ქურქშივე გავხვით, ყვავილი დავხრეთ“ — შემოს-ჩურჩულა ქვევიდან ენძელამ.



# ქიქის აქვს

(დახველეთერმანული მოფრობა)



მესამე კლასის მოსწავლეებს ხატვის გაკვეთილი ჰქონდათ. მასწავლებელი შევიდა კლასში და ბავშვებს უთხრა:

— ბავშვებო, რაც ყველაზე ძალიან გინდათ, ის დახატეთ.

ბავშვებმა ამოიღეს რვეულები და ხატვას შეუდგნენ.

კურტმა რკინიგზა დახატა. მალე საზაფხულო არდადეგები დაიწყება და დრუზდენში მატარებლით უნდა გაემგზავროს. მისი მეზობელი პანსი თვითმფრინავს ხატავს. მამამისი მფრინავია. ჰოდა, პანსმა მამის თვითმფრინავით უნდა იფრინოს.

მასწავლებელმა ახლა ერპარდისა და ერიხის რვეულებს დახედა. ორივე ზღვას ხატავდა. ეტყობოდათ, ბიჭებს ზღვაში ბანობა უნდოდათ.

მაქსმა ორი ცხენი დახატა. მისი პაპა სოფელში ცხოვრობს, ზაფხულში პაპას უნდა ეწვიოს. ვილიმ საციკურაო მოედანი დახატა. მას ციკურებით სრიალი უყვარს.

მასწავლებელი ახლა ოტოსთან შეჩერდა. სახეწამოწილელბული ბიჭუნა გულმოდგინედ ხატავდა. მასწავლებელმა რვეულში დიდფანჯარიანი სახლი დაინახა. ფანჯრის რაფაზე ყვავილები იდგა. ბიჭმა მზის ხატვა დაიწყო.

— კი, მაგრამ ეს რა სურვილია?—უთხრა მასწავლებელმა,—ეს ხომ ყოველდღე გაქვს!

ოტოს სახე მოედრებდა.

— მე ეს არა მაქვს,—უთხრა მასწავლებელს ნაღვლიანი ხმით,—ამიტომ ჩემი სურვილი ეს არის. მე და დედაჩემი საპაერო თავშესაფარში ვცხოვრობთ. მას ფანჯრები არა აქვს. დედა ხშირად ამბობს ხოლმე: რა კარგია დიდ ბინაში ცხოვრებაო. მეც მინდა ასე ვიცხოვრო!

გერმანულიდან თარგმნა შ. ამირანაშვილმა  
ნაბატი გ. რკინიგზისა

# მუჭიკა



## ნალი მოპოპირიძე

ჩხირკედელა დიდხანს დახეტიალებდა ტყეში. მოსწყინდა მართოდ ყოფნა, ერთ ხის კუნძზე ჩამოსკუბდა და ჩაფიქრდა:


— ემ, ნეტავ სად არის ახლა ჩემი მურიკა! — ხმამალლა ინატრა რკოს კაცუნამ.

უცებ ბუჩქებმა გაიფარუნეს, ჩხირკედელამ იქით გაიხედა და სინარულიხაგან ისე შეხტა, რომ ლამის კუნძიდან ძირს ჩამოვარდა. მის შორიახლოს მურიკა იჯდა, კუდს აქვიინებდა, და თავს აკანტურებდა.

ბავშვებო, არ გეგონოთ, რომ მურიკა ნამდვილი ძაღლი იყო. გასულ გაზაფხულზე ჩხირკედელამ თვითონ გამოჭრა ქალღღებისაგან. გინდათ, იცოდეთ; როგორ? აბა, დააკვირდით ამ ნახაზებს; რკოს კაცუნამ ჯერ ორად მოკეცილ ქალღღზე მურიკას სახე დახატა და გამოჭრა. მავთულზე საშლელის პატარა ნაჭერი დაამაგრა, მავთულის ერთი ბოლო კისერში ჩაატანა და დააწება; შემდეგ სხეული გამოჭრა, ისე როგორც მერე ნახაზშია მოცემული, კონუსისებურად მოამრგვალა და დააწება. სიმძიმიანი მავთული სხეულში მოათავსა. ასე დაადგა თავი კისერს. მერე ყურები მაკრატლის ბოლოთი გადაუგრიბა. მურიკამ მშინვე თავის კანტურით მადლობა გადაუხადა რკოს კაცუნას, კუდი გააქვინა და მხიარული ურეფა ატეხა.

მას შემდეგ მურიკა და ჩხირკედელა დიდი მეგობრები არიან.

ახლა კი სცადეთ, იქნება ასეთი მურიკა თქვენც გააკეთოთ.





საქართველოს  
ბიბლიოთეკის  
სამუშაო ნაწარმი






„აქუს ნაბიჯით“ ისტორიურ საბავშვო ჟურნალ „ტანეკიდან“




პოლონურ საბავშვო ჟურნალიდან



გოგონა მანია და თუჯინა ბანია  
ჟურნალ „ვესიოლიე კარტინკიდან“



ნახატები ელ. აგბოკაძისა





რედაქტორი ჯანსუღ ჩარკვიანი, ხარედაქციო კოლეგია: გ. მემეძორკრი, ძ. გოგიაშვილი, ჯ. ლოლუა, შაჰვალა შარვაშიანი (რედაქციის მთავარი), ჯ. ნინუა, შ. ცხადაძე (ხაზატრო რედაქტორი) რ. შიშვილი.

ხაჭართველის ალკ ცენტრალური კომიტეტისა და გ. ი. ლენინის საერლობის ნორჩ შიონერთა ორგანიზაციის რეხმუბლაკური ხაბოს ეურნალო

ყლის მხატვრობა ეკუთვნის ზ. შორჩხიძეს

ტპრედაქტორი ბ. კრინიშვილი

გამოცემის ოცდამეჩვიდმეტე წელი. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ დუბრუნდებათ.

გამომცემლობა „ნატადული“, გამოშვ. წყვ. № 332, სტამბის წყვ. № 1199, ტრაჰტ 34000, ხელმოწერილია დასაბეჭდავ 21/V-1964 წ. ერნალი დაბეჭდილა პოლიგრაფიულ კომინატ „კომუნისტა“, ლენინს ქ. № 14 „ДНЛА“ на грузинском языке. Тбилиси, просп. Пашаева № 91.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლხანინის პრისი. № 91, ტელ. 5-37-38.

შასნი 20 კაბ.